დიოგენე

დაწყებითი
სკოლა

ნათია ბალხამიშვილი, სალომე ჩხეიძე, ნინო გვილავა, ხათუნა ყოჩაშვილი

ნაბიჯი წინ
I–II კლასი

პროექტის ხელმძღვანელი: მაგდა ბარამიძე

რედაქტორი: ლალი ბაქრაძე

კონსულტანტი: ლელა ქვაჭრელიშვილი

ყდის დიზაინერი და ილუსტრატორი: ანა ოსიაშვილი

დამკაბადონებელი: ნინო გურული

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2025
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-930-9

www. diogene. ge

ნათია ბალხამიშვილი, სალომე ჩხეიძე,
ნინო გვილავა, ხათუნა ყოჩაშვილი

ნაბიჯი წინ

ქართული-მათემატიკა-ბუნება

I–II კლასი

წინასიტყვაობა

სავარჯიშო კრებული „ნაბიჯი წინ“ საგანმანათლებლო გამოცემაა, რომელიც მიზნად ისახავს მოსწავლის ცოდნის განმტკიცებასა და მომდევნო სასწავლო წლისთვის მომზადებას, ასევე, იმ სასწავლო დანაკარგების შევსებას, რომლებიც მოსწავლემ წინა სასწავლო წელს განიცადა.

კრებული შეიცავს სხვადასხვა საგნის (ქართულის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების) სავარჯიშოებს, რომლებიც ეხმარება მოსწავლეს, გაამყაროს გასულ სასწავლო წელს შეძენილი ცოდნა და უნარები და მოემზადოს ახალი გამოწვევებისთვის.

კრებულის ძირითადი მახასიათებლები:

შინაარსობრივი მრავალფეროვნება: კრებულში წარმოდგენილია სავარჯიშოები ქართულ ენაში, მათემატიკასა და ბუნებისმეტყველებაში, ანუ ის უზრუნველყოფს მოსწავლის კომპლექსურ მომზადებას.

შესაბამისობა: სავარჯიშოები მორგებულია შესაბამისი კლასის მოსწავლეების საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის ინდივიდუალურ განვითარებას.

ინტერაქტიულობა: კრებულში გამოყენებულია სხვადასხვა ტიპის დავალებები, რომლებიც მოსწავლეს ინტერესს აღუძრავს და უზრუნველყოფს მის ჩართულობას პროცესში;

პროგრესის მონიტორინგის შესაძლებლობა: კრებულში გათვალისწინებულია თვითშეფასებისა და თვითკონტროლის ინსტრუმენტები, რომლებიც ეხმარება მასწავლებლებსა და მშობლებს, თვალყური ადევნონ სწავლის პროცესს.

კრებული გაწერილია რვა კვირაზე, ბოლოს კი მოცემულია შემაჯამებელი დავალებები, ანუ სულ კრებულზე სამუშაოდ საჭიროა რვა-ცხრა კვირა, რაც სავსებით აკმაყოფილებს რემედიაციის პროგრამის მოთხოვნებს.

რაც მთავარია, ყოველი კვირის მასალის დამუშავების შემდეგ მოსწავლემ დამოუკიდებლად უნდა შეავსოს შესაბამისი თვითშეფასების ცხრილი, რომელიც წიგნს ბოლოში ერთვის. ამ გზით იგი გამოხატავს თავის განწყობილებას დავალებების შესრულებისას და იძენს თვითკრიტიკის გამოცდილებას, ხოლო მასწავლებელსა და მშობელს საშუალება ეძლევათ, უკეთ დაინახონ მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესი.

მოცემული კრებული სასარგებლო რესურსია სასწავლო პროცესის უწყვეტობის შესანარჩუნებლად და მოსწავლის აქტიურობის უზრუნველსაყოფად.

ძვირფასო მასწავლებლებო და მშობლებო! თუ თქვენს მოსწავლეს/შვილს აღენიშნება წინა წლიდან გადმოყოლილი, ამა თუ იმ მიზეზით გამოწვეული სასწავლო დანაკარგები, მაშინ ეს კრებული იდეალური ინსტრუმენტია თქვენ ხელში.

გისურვებთ წარმატებას!

ქართული

პრაქტიკული სავარჯიშოები – ხმოვანი, მარცვალი.

1. შემოხაზე ხმოვანი ბგერით დაწყებული სიტყვები:

ა. ატამი, ბაღი, კუ, ირემი, ურემი, მეგობარი, ძაღლი, ეზო, მთვარე, ენა, ზებრა, ეკალი, ვარსკვლავი, ბუ, ხე, ენძელა, მზე, იაგუარი.

ბ. წინა დავალებიდან ამოიწერე ის სიტყვები, რომლებშიც ერთნაირი ხმოვნებია:

_____

_____

_____

_____

2. შემოხაზე სწორად დამარცვლილი სიტყვა:

ა. მა-ტა-რებ-ელ-ი

ბ. მეგ-ობ-ა-რი

გ. გემ-ი

დ. დე-და-მი-წა

3. დაალაგე სიტყვები ასოების რაოდენობის ზრდის მიხედვით:

აგარაკი, სოფელი, ტალღა, აუზი, არდადეგები, ჩანჩქერი, ხე, ექსკურსია, ტბა.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

მათემატიკა

1. შემოხაზე ორნიშნა რიცხვები:

2, 12, 3, 20, 5, 11, 14, 17.

2. შემოხაზე უდიდესი რიცხვი:

17, 16, 11, 15, 18, 14.

3. შემოხაზე რიცხვი, რომელიც შედგება 1 ათეულისა და 6 ერთეულისგან:

12, 13, 16, 14, 15.

4. შემოხაზე რიცხვი, რომელიც 1 ათეულით ნაკლებია 19-ზე:

8, 9, 10, 18.

5. გახადე ფიგურების რაოდენობა ჩაწერილი რიცხვის შესაბამისი.

1 ○ ○ ○

7 □ □ □

5 △ △ △

6 ◇ ◇ ◇

6. გამოიანგარიშე.

4-3+6=	2+5-6=	9+1+1=
3+5-6=	10-8+2=	8+2+3=
1+5-6=	10-7+6=	7+3+2=

7. შეადგინე ტოლობები.

10 თეთრი, 2 თეთრი

10+2=

2+10=

12=10+

10=2+

12-10=

12-2=

10 თეთრი, 2 თეთრი, 1 თეთრი

10+2+1=

8. შეავსე ცხრილი ნიმუშის მიხედვით.

შესაკრები	2	4	3	2	4	3	2
შესაკრები	7	5	6	5	6	7	8
ჯამი	9						

9. ჩაწერე შესაბამისი რიცხვები.

..., 10, ..., ..., ..., ...

14, 13, ..., ..., ..., ..., ...

..., ..., ..., ..., ..., ..., 14

11,10, ..., ..., ..., ..., ...

10. ერთ ყუთში 14 ფერადი ფანქარია, მეორეში კი – 10.
რამდენით მეტი ფანქარია პირველ ყუთში?

_____

11. რომელია მეტი/ნაკლები? რამდენით?



_____



_____

12. ჩაწერე უჯრების რაოდენობის შესაბამისი რიცხვები. გააფერადე ათეული ლურჯად.

13. ჩაწერე შესაბამისი რიცხვები.

8+2+ = 14	7+3+ =13	5+5+ =11
9+1+ =14	6+4+ =12	6+4+ =11

14. დააჯგუფე შემდეგი რიცხვები საერთო ნიშნის მიხედვით.

12, 9, 13, 14, 7, 8 10, 11, 5

_____

_____

ბუნება

1. **გააფერადე წელიწადის ის დრო, როცა ყველაზე გრძელი არდადეგებია.**







2. გაარკვიე, რისგანაა დამზადებული ნივთები.

ნიმუში: **ტაფა – რკინა**

საწოლი – თეფში –

საშხაპე კაბინა – კაბა – წიგნი –

3. წითელქუდა ბებიას სახლამდე ისე მიიყვანე, რომ მგელს არ შეხვდეს. ჩამოწერე ის ობიექტები, რომლებიც ბებოსთან მისვლამდე შეხვდება მას (გორაკი, მინდორი, ტყე, მდინარე).



4. გამოიყენე სიტყვები: მიწოლა, ბიძგი, დარტყმა, მოქაჩვა და დაწერე სრული პასუხი.

ა. საქანელას ასამოძრავებლად სჭირდება _____

ბ. ტახტის გადასაადგილებლად საჭიროა _____

გ. ბურთის კარში გასატანად საჭიროა _____

დ. ციგა თოვლზე რომ გაასრიალო, საჭიროა _____

5. სკოლიდან მარჯვნივ დაინახავ აფთიაქს, აფთიაქიდან იარე წინ, ვიდრე არ შეხვდები ბიბლიოთეკას, ბიბლიოთეკასთან ჩაუხვიე მარცხნივ და იარე წინ, მანამ არ შეხვდები შუქნიშანს. შუქნიშნიდან გადადი ზებრაზე. დაინახავ საცხობს და საცხობის უკან მდბარე სახლში ცხოვრობს გიორგი.